პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ სამშაბათი 2 მაისი 1978 წ. □ № 104 (17148) □ ფასი 2 კაპ.

1920 ■ გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან □ 1978

მთელმა ჩვენმა ქვეყანამ, საბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ დიდი ზეიმით აღნიშნეს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის პირველი მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფლეგანდელი მაისობა პირველი დიდებული დღესასწაულია მას შემდეგ, რაც მიღებულია, და მოქმედებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ახალი კონსტიტუციები.

ამაზე მოუთხრობს ჩვენს მკითხველებს „კომუნისტის“ დღევანდელი ნომერი.

მოსკოვი. 1978 წლის 1 მაისის დღესასწაული. მშრომელთა დემონსტრაცია წითელ მოედანზე. სურათზე: ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ჩვენი ნათელი მიზანია კომუნიზმი

საპირველმაისო დემონსტრაცია მოსკოვის წითელ მოედანზე

შემოქმედებითი ძალებით აღსავსე, კომუნიზმის საკეთილდღეო სასახელო მიღწევებით შეეგება პირველ მაისს საბჭოთა, ხალიკე ექვსი ათეული წელია ფრიალებს დიდი ოქტომბრის ძლევამოსილი დროშა, გაზაფხულის, შრომისა და მშვიდობის დღესასწაული ჩვენს ქვეყანაში მეათე ხუთწლედის მესამე, დამკვრელური წლის შრომითი გამარჯვებების პატაკებით მოვიდა.

წითელი დროშებით, ტრანსპარანტებით, ალმებით იყო მორთული ამ საზეიმო დილას ჩვენი ქვეყნის ქალაქები და სოფლები. მბგრამ ტრადიციისამებრ ყველაზე ლამაზად მორთული იყო მოსკოვის წითელი მოედანი. ჩვენი ქვეყნის მთავარი მოედნის გაფორმება გამოხატავს საბჭოთა ადამიანების ერთგულებას მარქსის, ენგელსის, ლენინის რევოლუციური მოძღვრებისადმი. მათი პორტრეტები მორჩნს უზარმაზარ ქსოვილზე, რომელიც მოსკოვის სახელმწიფო უნივერმაღის ფასადს ფარავს. წითლად ელვარებს ლოზუნგი: „გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს!“.

ჯარი განწყობილებით გამოვიდნენ დემონსტრაციაზე მოსკოველები. მათი ეკვი სიამაყით ირის აღსავსე საბჭოთა კავშირის ისტორიული წარმატებების ზამო, სადაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით პირველად ამენდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, სადაც ეს ზონაპოვარი დამკვიდრებულია სსრ კავშირის ძირითად კანონსა და ახლახან მიღებულ მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციებში.

ტრიბუნების გასწვრივ ფლაგშტოკებზი აღმართულია მოკავშირე რესპუბლიკათა ალმები, კრემლის კედელზე სსრ კავშირის სახელმწიფო გერბის გვერდით ჩამწკრივებულია მრავალფეროვანი ეროვნული ჩოქურთმით დამშვენებული მათი ვერბები. „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა საზოგაოოების ხელმძღვანელ ფა წარმმართველ ძალას!“ — წარწერილია ტრანსპარანტზე.

ამ საზეიმო დღეს საბჭოთა ხალხი ერთად ადასტურებს თავის მონოლითურ ერთიანობას ლენინს კომუნისტურ პარტიასთან, რომელიც მიეძღვის ჩვენ ყანას გამარჯვებისაკენ. პარტიის XXV ყრილობაზე დამტკიცებული ხუთწლედისა და შემდგომი პერსპექტივის ვრცელი პროგრამა. ხაზი გაესვა სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. ექვემდებარება ერთ მიზანს: იმას, რომ საბჭოთა ხალხი ცხოვრობდეს უკეთ, უფრო სისხლსავსედ. ხაამუარად, რომ ჩვენ უფრო მტკიცედ მივიწევდეთ წინ ჩვენი ნათელი მიზნისა — კომუნიზმისაკენ. საბჭოთა ადამიანების ფიქრებსა და მძსწრაფებებს გამოხატავენ ფერად პანოებზე წარწერილი ლოზუნგები: „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს შეასრულებთ!“, „მეათე ხუთწლედი — ვადამდე!“

ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის ამოცანების წარმატებით რეალიზაციის გზაზე მოქმედებს საბრძოლო პროგრამად აღიქვეს მშრომელებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში მოგზაურობის დროს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამოთქმული მითითებანი და რეკომენდაციები. ტრანსპარანტები ასახავენ საყოველთაო-სახალხო ხელიკოოპერაციისტური შეჯიბრების არნახულ მასშტაბს. პირველი კვარტალის გეგმის შესრულების შედეგებმა დაადასტურა, რომ პარტიის მოწოდების პასუხად ხუთწლეული მესამე წელი დამკვრელური შრომის წლად გადაიქცა.

საბჭოთა ხალხის აღმშენებლობითი შრომისადმი საჭირთა მშვიდობა. „მშვიდობის განმტკიცება ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა“, — ეს სტატეგია წარწერილი პანოზე, რომელიც ისტორიის მუზეუმს შენობას ამშვენებს. პანო გამოხატავს საბჭოთა ადამიანების ერთსულოვან ბრძოლას ომისა ბრძოლის ნეიტრონული ბომბი, ბიკრძალოს ატომური იარაღის გამოცდა, შეწყვიტ გამალებული შეიარაღება. საბჭოთა კავშირი მტკიცედ და თანამიმდევრულად იბრძვის დაძაბულობის შენელებისათვის.

მშვიდობა სჭირდება ჩვენს ხალხს. მშვიდობა სჭირდება მთელ ბალანეტას, წითელ ქსოვილზე წარწერილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდების სიტყვები: „გაუმარჯოს პირველ მაისს — იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!“

მარშ-პარადის მონაწილეებით გაჭედილი მოედნის ცენტრში წითელ ფონზე ელვარებს სტეკვები: „1 მაისი“. ახლოვდება დღესასწაულის ბახსნის საზეიმო წუთი.

სპეციალ სტუმრების ტრიბუნებზე კარად პარტიის ვეტერანები, მეათე ხუთწლიდის მოწინავენი, პარტიული, საბჭოთა და ხალხური ორგანოებისა ორგანიზაციების, შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები. მეცნიერებისა და კულტურის ცნობილი მოღვაწეები. მათ გვერდით დგანან მრავალრიცხოვანი საზოგარგარეთელი სტუმრები — ასზე მეტი ქვეყნის პროფკავშირული და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწენი, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის მებრძოლები.

ტრიბუნებზე არიან ბრაზილიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. კ. პრესტესი, ურუგვაის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი რ. არისმენდი, სხვა ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელები, ახალგაზრდობის საერთაშორისო და ეროვნულ ორგანიზაციათა ელეგაციები. რომლებიც სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობაში მონაწილეობდნენ. აქვე არიან მოსკოვში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

მოედნის ყველა კუთხიდან მოისმის ტაში გრიალი, ყიჟინს მძლავრი „ვაშა!“. მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები მხურვალედ, გულითადად მიესალმებიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს. მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. კულაკოვი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, მ. ა. სუსლოვი, დ. ფ. უსტინოვი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, კ. უ. ჩერნენკო, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, ი. პ. რიაბოვი, კ. ვ. რუსაკოვი. აქვე არიან თვალსაჩინო საბჭოთა მზედარმთავრები.

ზილის 10 საათია, წითელ მოედანზე რეკს კრემლის კუროანტები, ეტერს ტრადიციული „ერეკლეა ჩემი სამშობლო...“ ფანფარები იუწყებიან დღესასწაულის დაწყებას.

მარშ-პარადის მონაწილეთა რიგებში მოჩანს ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“. გაისმის სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდება. საბჭოთა ადამიანები ხოტბას ასხამენ პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს — ჩვენს დიად ძალას, ჩვენს დროშას. „დიდ განმტკიცდეს თანამედროვეობის სამი ძირითადი რევოლუციური ძალის — მსოფლიო სოციალიზმის, საერთაშორისო პროლეტარიატისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი უძლეველი კავშირი!“ — აცხადებენ საპირველმაისო ზეიმის მონაწილენი.

მთელი პროგრესული კაცობრიობა უსმენს მხარს საბჭოთა კავშირის ლენინურ საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია უზრუნველყოს მტკიცე, მყარი მშვიდობა. ჩვენს დროში ყველაზე არსებითი, ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა მიგაღწიოთ ომის საფრთხის შემდგომ შენელებას, შევაჩეროთ შეიარაღების ზრდა. საღღესასწაულო მანიფესტაციის მონაწილენი მოუწოდებენ მსოფლიოს ხალხებს აბრძოლონ ნეიტრონული ბომბის აკრძალვისათვის, სამუდამოდ აკრძალონ ატომური იარაღი. მსოფლიოს ხალხებისადმია მიმართული მოწოდება — გაბედულად გავიღაშქროთ ნეიტრონული ბომბის წარმოების წინააღმდეგ.

წითელ დროშებში მოჩანს ტრანსპარანტი, რომელზეც წარწერილია: „დაე საუკუნეებში ცოცხლობდეს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის — კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელისა და ხელმძღვანელის სახელი!“ საბჭოთა ხალხთან ერთად მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის დაბადების 108-ე წლისთავი საუოთარი დღესასწაულითი აღნიშნეს სოციალიზმის ქვეყნების ხალხებმა, საერთაშორისო მუშათა კლასმა. ყველა პროგრესულმა ადამიანმა.

კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის თანამიმდევრული მებრძოლის სამიცი წლის შრომისა და გმირული ბრძოლის დღიებული შედეგები დამაჯერებლად ადასტურებს ლენინური იდეების მძლავრ ქმედითს ძალას.

მოედნის ცენტრში ალისფერ ფონზე ჩნდება უზარმაზარი ასოები: „სკკპ“. მწკრივებში მოჩანს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთა პორტრეტები: საბჭოთა ადამიანები ადიდებენ კომუნისტურ პარტიას — ჩვენი საზოგაოოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას, მის მებრძოლ შტაბს — ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიუროს და მის მეთაურს — გამოჩენილ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეს, ერთგულ მარქსისტ-ლენინელს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს — დიდებ!“. „ლენინის პარტიას — დიდება, დიდება, დიდებ!“ — ერთხმად გაიძახიან მარშ-პარადის მონაწილეები. მოედანზე გრიალებს მრავალმოვანი „ვაშა!“.

მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადიან პიონერები და ყვავილებსა და ალისფერ ბაფთებს უძღვნიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს.

წითელი მოედანი კვლავ ალისფერი ალმებით აივსო. მოაქვთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის პორტრეტი. ლეონიდ ილიას ძის მთელი ცხოვრება დაკავშირებულია პარტიის ხაქმიანობასთან, ხაბჭოთა ხალხის გმირულ შრომასთან, სამშობლოს თავისუფლებისა და აყვავებისათვის ბრძოლასთან. „ომი არასოდეს აღარ უნდა იყოს!“, — წერენ „მცირე მიწის“ ეს სიტყვები გამოხატავს საბჭოთა ადამიანების, მთელი პროგრესული კაცობრიობის ყველაზე სანუკვარ ფიქრებსა და მისწრაფებებს. მთელ მსოფლიოში უდიდეხი ინტერესი გამოიწვია სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წამოყენებულმა იმ კონკრეტულმა წინადადებებმა, რომელთა მიზანია დიდი ხამხედრო პოტენციალის მქონე სახელმწიფოთა შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემდგომი რაოდენობრივი და თვისებრივი ზრდის სრული შეწყვეტა.

„გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის დიად ურღვევ ერთიანობას!“ — გაისმის მოედანზე. მთელ მოედანს ფარაეს ლოზუნგი: „გაუმარჯოს კომუნიზმს!“

პაერში აიკრა ფერად-ფერადი ბუფთები ემბლემებით, რომლებზეც წარწერილია: „შრომა“. „მშვიდობა“. „მაისი“.

წითელ მოედანზე ფართო, მძლავრ ნაკადად შემოდიან დემონსტრანტთა სადღესასწაულო კოლონები. ამაყად მოიქცევ გმირი ქალაქის მოსკოველ ორდენების ლენტებით დამშვენებული დროშა. მოდიან დედაქალაქის ამ კოლექტივების წარმომადგენლები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირისა და რუსეთის სსრ მინისტრთა საბჭოების, საკავშირო პროფსაბჭოსა და ხრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოდენენ საიუბილეო წელს მოპოვებული წარმატებებისათვის. მოსკოვის ასზე მეტ საწარმოსა და დაწესებულებას მიენიჭა ეს მაღალი ჯილდოები. პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა ფუთო შესრულების პასუხსაგები ამოცანები დაოსახა ხაბჭოთა ხალხს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმმა. აღფრთოვანებითა და გულმოდგინედ შრომობენ მოსკოველები ხუთწლედის მესამე წელს. 1973 წელს სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ხაკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წარილის პასუხად დედაქალაქის მშრომელებმა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა, გადაწყვიტეს ეს წელი გადაქცეონ დამკვრელური შრომის წლად. მათ იკისრეს მაღალი ვალიებულებანი, მიიღეს დაძაბული შემჯეველი გეგმები. სამაი ათასზე მეტმა მოსკოველმა გადაწყვიტა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პირველი წლისთავისათვის შეასრულოს ხუთწლედის ხამი და მეტი წლის დავალებანი. ამ თაოსნობას ფართოდ დაუჭირეს ზმარი ჩვენს ქვეყანაში. კოლონებში მოაქვთ სადღესასწაულო პატაკები. დედაქალაქის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების პირველი კვარტალის გეგმა.

(დასასრული მე-3 გვ.).

შრომის, მოვიდოგის, ლენინური მეგობრობის დროშით

თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების საპირველმაისო დემონსტრაცია

ახალგაზრდა, აყვავებული, ჯან-ღონითა და ენერგიით, სიმხნეევით აღსავსე და ბედნიერი შეხვედა ბაღარა თბილისი ამ მშვენიერ საპირველმაისო დილას.

კიბტად მორთული თბილისის ცენტრალური მგზავრალი — რუსთაველის პროსპექტი. მაისის სიო აფრიალებს მთავრობის ხახლის თავზე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო დროშას. პირველი მაისის „დამდეგს საქართველოს ცხოვრებაში უადრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიამ მიიღო რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია. საქართველოს სსრ კონსტიტუცია.

მთავრობის ხახლის ფრონტონზე გამოკრულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელის ვ. ი. ლენინის უზარმაზარი პორტრეტი.

რუსთაველის პროსპექტს გადმოსცქერის თანამედროვეობის ბანერნელი მარქსისტ-ლენინელის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პორტრეტი.

პირველი მაისის ნათელი და საზეიმოარული დღესასწაული, შრომის, ხალხთა ლენინური მეგობრობის დღესასწაული საქართველოში მიმდინარეობს უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოწვეულია ჩვენს ცხოვრებაში მომხდარი ისეთი უმნიშვნელოვანესი მოვლენებით, როგორიც არის სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის მიღება, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა, ლ. ი. ბრეჟნევის მოკონგბთა წიგნების — „მცირე მიწისა“ და „აღორძინების“ გამოქვეყნება, რომლებიც გვასწავლიან ვიცხოვროთ, ვიმუშაოთ და ვიბრძოლოთ ლენინურად.

პირველი მაისის დამდეგს საქართველოს მშრომელებმა სამშობლოს, პარტიას უპატაკეს: მეათე ხუთწლედის მესამე წლის ოთხი თვის გეგმა რესპუბლიკის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა!

რესპუბლიკის ცხოვრებაში კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: წელს საქართველოს ზედიზედ მეხუთედ მიენიჭა და გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა ალისფერ ფონზე. ეს ნიშნავს, რომ 1977 წლის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით საუკეთესო წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

მთავრობის სახლის წინ აღმართულ ტრიბუნებზე დგანან ლენინური პარტიის, შრომის, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანები, წარმოების მოწინავენი — მეათე ხუთწლედის დამკვრელები, პარტიული, საბჭოთა და ხალხოვანი ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან ბ. ბ. გოლუბოვი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კაკნაძე, გ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშევი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარაიძე, კ. ი. პატაიშვილი, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. ჩხეიძე, თ. ი. მოსაშვილი, ე. კ. შარტავა, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითაია, ს. ე. ხაბეიშვილი.

დილის ათი საათია. სადღესასწაულოდ მორთული რუსთაველის პროსპექტის საზეიმო სიჩუმე ბუკის ხმამ დაარღვია. მან გვაუწყა, რომ დაიწყო საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის — თბილისის მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაცია.

რუსთაველის პროსპექტზე შემოდის სადღესასწაულოდ მორთული მეწინავე მანქანა. მასზე არიან სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლების ისტორიული მოვლენების თმაშევარცხლილი მონაწილენი, შრომის მოწინავენი, საბჭოთა კავშირის მეშენებლობის წამყვანი ძალის წარმომადგენლები, შრომის მოწინავენი. აქვე არიან სტუდენტთა შრომითი რაზმების ფორმებში გამოწყობილი ქალიშვილები და ვაბუკები, კომუნისტური საზოგადოების ახალგაზრდა მშენებლები, მათ მხარს ომმევენებენ პიონერები, მოსწავლეები.

რუსთაველის პროსპექტს მოეფინა საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნის საზეიმო ჰანგები. გაისმის, ამაღელვებელი სიტყვები:

იდიდე მარად ჩემო სამშობლოვ
გმირთა კერა ხარ განახლებული
დიად პარტიის ნათელი აზრით
ლენინის სიბრძნით
ამაღლებული!

ქალაქ თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების სადღესასწაულო დემონსტრაციის ტრადიციისა მებრ ხსნის ლენინის რაიონის — სამაისო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული, თბილისის ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო რაიონი.

რაიონის კოლონას მოუძღვის მანქანა, რომელზეც აღმართულია კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელისა და ხელმძღვანელის — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის უზარმაზარი ბიუსტი. მანქანის „ალ წითელი დროშების ტყე შრიალებს. დემონსტრანტთა რიგებში მოჩანს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისა და წევრობის კანდიდატების პორტრეტები.

თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების წლევანდელი საპირველმაისო დემონსტრაციის ერთ-ერთი დევიზია ლოზუნგი „გან-

(დასასრული მე-3 გვ.).

სამაისო საჩუქარი

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ზესტაფონელი მეტალურგები სახელოვნად შეეგებნენ პირველი მაისის დღესასწაულს. მიმდინარე წლის ოთხი თვის განმავლობაში მათ ქვეყანას მისცეს 7 ათასი ტონა ზეგეგმითი ლითონი და დაზოგეს 10,5 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

მეტალურგთა ერთი ნაწილი ზეიმის დღეს ლითონის სადნობ ღუმელებთან იდგა. საპირველმაისოდ ფერომდნობელებმა გეგმის გადამეტებით 135 ტონა ლითონი გამოადნეს და 500 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია დაზოგეს. თითქმის ყველა საამქრომ, ცვლამ და ბრიგადამ ისახელა თავი. სალამოსათვის მოწინავეთა დაფაზე გამოჩნდა გამარჯვებულთა გვარები. აი ისინიც: პირველი საამქროს ცვლის ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი გ. ნინიტაშვილი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი, მდნობელთა ბრიგადირი ტ. გეგეშიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მდნობელთა ბრიგადირი უ. ნიორაძე, მეორესაამქროელები ო. თავბერიძე, ა. მაღლაკელიძე, ჯ. ფერაძე და სხვები.

ო. ნიჟარაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ჩვენი ნათელი მიზანია კომუნიზმი

(დასასრული)

ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების ტემპს, რომელსაც პარტია ადგას, მიმდინარე წლის არა მარტო მთავარი ამოცანა, არამედ მრავალი წლით იდრე ჩვენი ეკონომიკური და სოციალური განვითარების - განმსაზღვრელი ფაქტორი და საბჭოთა ადამიანების მთელი თაობის აღზრდის პროგრამაც არის. ამ პროგრამის შესრულებაზე მოგვითხრობენ დემონსტრაციაზე დედაქალაქის უდიდესი საწარმოს — ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის ავტომობილთმშენებელი მრავალრიცხოვანი პანორები და დიაგრამები გვაცნობენ, როგორ სრულდება ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ის დანაწესები, რომლებიც მისცა მათ, როცა ორი წლის წინათ უნდა ქარხანას პირველი მაისის წინ. ავტოქარხნის კოლექტივს შეუძლია და კიდევაც უნდა დაისახოს ამოცანა — გამოუშვას მსოფლიო ავტომობილმშენებლობის მოწინავე მიღწევათა შესაბამისი პროდუქცია, თქვა ლეონიდ ილიას ძემ. დღეს ავტოქარხნელები ამაყად უპასუხებენ საშობლოს: ნაწარმის 70 პროცენტზე მეტი სახელმწიფო ხარისხის ნიშნით გამოდის, ხუთწლედის დამდეგიდან თითქმის მეოთხედით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

ა. მედვედევის მჭედელ-მტვიფრავთა ბრიგადის მაგალითისამებრ, რომლებიც დღეს სადღესასწაულო მწკრივებში მოდიან, ათასობით ავტოქარხნელია ნაბმული შეჯიბრებაში, რათა სსრ კავშირის კონსტიტუციის დღისათვის შეასრულონ ხუთწლედის სამი წლის დავალებანი. წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში დიდი წვლილი შეაქვთ საწარმოს ნოვატორებს. მათი შემოქმედებითი ძიების წყალობით სატვირთო მანქანის ზილ-130-ის წონა უკანასკნელი წლების მანძილზე რამდენიმე ათეული კილოგრამით შემცირდა. დიდი რაოდენობით იზოგება. ლითონი — ყოველდღიურად ხომ ასაწყობი კონვეიერიდან 700-ზე მეტი სატვირთო მანქანა ჩამოდის. ქარხნის პარტიული ორგანიზაცია ზრუნავს მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელებისათვის. ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანაში ათასამდე კომუნისტური შრომის სკოლა, რომელშიც ოცდაათ ათასზე მეტი კაცი სწავლობს.

ასეთი სწავლის შედეგები გამოვლინდა საკაზარო კომუნისტური შაბათობის დღეს. 6,4 მილიონი მოსკოველი მონაწილეობდა ამ შრომის დღესასწაულში. 22 აპრილს მოსკოველმა მუშებმა გამოუშვეს ათმილიონობით მანეთის სხვადასხვა პროდუქცია. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი დამზადებულია დაზოგილი მასალებით, ბევრი საწარმო დაზოგილი ენერგორესურსებით მუშაობდა.

გაეფურთხილდეთ სახალხო დოვლათს, რაციონალურად გამოვიყენოთ ნედლეული, მასალები, სათბობი, ელექტროენერგია, გავაძლიეროთ მომეჭირნეობის რეჟიმი — პარტიის ეს მოთხოვნა სულ უფრო მეტად განსაზღვრავს ბრიგადების, უბნების, საამქროების, ქარხნების, მშენებლობების მუშაობას. სახალხო სამდიდრის უყარათიანი ბატონ-პატრონები, მშრომელები ადიდებენ შრომითს, ტექნოლოგიურ და საგეგმო დისციპლინას.

მაგზალეუმის ტრიბუნებს ჩაუარეს მოსკოვის ვლადიმერ ილიას ძის სახელობის საშგზის ორდენოსანი ელექტრომექანიკური ქარხნის წარმომადგენლებმა. სახელმოხვეჭილი საწარმოს ემბლემაზე სახელმწიფო ხარისხის ნიშანია. ამ წელი მეტი ხნის წინათ პირველად ჩვენს ქვეყანაში საპატიო ხუთკუთხედით აღინიშნა ამ ქარხნის ელექტროძრავები. ახლა ამ ნიშნით გამოდის 56 ტიპის ელექტროძრავა. რვა მაგვანძა ხარისხის ნიშანი სამაისო შრომითი ვახტის დღეებში მიეღო.

ალიოშოველები არიან ინიციატორები შეჯიბრებისა დეგზით „ხარისხის ხუთწლედს — მუშური გარანტია". დემონსტრანტთა რიგებში არიან სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატების ი. ამოსოვის, ნ. კუზნეცოვის, ნ. მეტოლკინის ბრიგადები, რომლებსაც ბაძავს მთელი კოლექტივი. მოწინავეები მომავალი წლის ანგარიშში მუშაობენ. ოთხი თვის დავალების ვადამდე შესრულება უპატიჟა სამშობლოს პირველი მაისის წინ ქარხნის მთელმა კოლექტივმა. ისევე როგორც დედაქალაქის ყველა საწარმოსა და ორგანიზაციაში, ყველა დიდი საქმის წამომწყები აქ კომუნისტები არიან. მოსკოვის პარტიული ორგანიზაცია თავის რიგებში მილიონამდე სკკპ წევრსა და წევრობის კანდიდატს აერთიანებს. სწორედ ისინი ჩაუდგნენ სათავეში პატრიოტულ მომრაობას სსრ კავშირის კონსტიტუციის პირველი წლისთავისათვის ხუთწლედის სამი წლის დავალებანი ადრე ასრულებლად, შეჯიბრებას დეგზით „მუშათა ინიციატივას — ინვენერთა მხარდაჭერა" და მოსკოველთა სხვა წამოწყებებს, რომლებსაც ფართოდ დაუჭერეს მხარი ჩვენს ქვეყანაში.

წითელ მოედანზე დემონსტრანტთა ახალი კოლონები შემოდიან. ბევრ კოლონაში კიაფობს პარტიის იენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდების სტატეგები: „კომუნისტებო! იაკავთ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის! საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში!".

სადღესასწაულო მარშით მოდიან მოსკოვის წამყვანი საწარმოების — პირველი სახელმწიფო საკასრთა ქარხნის, „წითელი პროლეტარის", „ტრიუმფრონიაა მანუფაქტორის", „ნამგლისა და ფოროს", გიერთიანება „ბოლშევიჩკას", პირველი საათის ქარხნის კოლონები... სადღესასწაულო კოლონებში ფრიალებს ებრეშუმის ქსოვილები — დედაქალაქის კოლექტრომანქანათმშენებელმა გამოიანგარიშა თავისი შესაძლებლობანი და დამატებითი ვალდებულებანი იკისრა 1978 წლისა და ხუთწლედის სამი წლის დავალებათა ადრამდე შესრულებისათვის. ამ წინადადებათა რეალიზაცია საშუალებას მისცემს „დინამოს" კოლექტივს მომდინარე წელს გამოუშვას 600 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

სადღესასწაულო კოლონებში ბევრია მოსკოველთა ნორჩი თაობის წარმომადგენელი. ეისწავლოთ ლენინურად, კომუნისტურად ცხოვრება, მუშაობა და ბრძოლა — ასეთია საბჭოეთის ნათელი მომავლის ახალგაზრდა შემოქმედთა მთავარი ლოზუნგი. პირველი მაისის წინ სრულიად საკავშირო ალკა XVIII ყრილობამ შეაჯამა ლენინური კომკავშირის 38-მილიონიანი რაზმის აქტიური საქმიანობის შედეგი, როშელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კომუნისტურ მშენებლობაში, სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა დაჩქარებული დამთავრებისათვის საყოველთაო სახალხო ბრძოლაში. საბჭოთა ახალგაზრდობა ვიუქაცობის, მამაცობის, ოქტომბრის იდეალების ერთგულების მაგალითს გვიჩვენებს. ქალაქელებსა და ჭაბუკებს თავიანთი განსაკუთრებული რომანტიკული მგზნებარეობა და ჭაბუკური აღფრთოვანება შეაქვთ ყოველგვარ საქმეში.

განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა ეს ქვეყნის კომკავშირის ყრილობის, სრულიად საკავშირო ალკა მე-60 წლისთავის აღსანიშნავი დამკვრელური შრომითი ვახტის დროს. ერთ-ერთი საპირველმაისო ტრანსპორტი ვვაცნობს ლიხაჩოვის სახელობის ქარხნის ახალგაზრდა ავტომობილმშენებელთა პატაკს. ყრილობის მუშაობის დღეებში მათ ავტომბილსა და შორეულ აღმოსავლეთს გაუგზავნეს გეგმის გადაჭარბებით დამზადებული 180 მძღავრი „ზილი" დატვირთული სატვირთო შემადგენლობა. ამ მანქანებს მიიღებენ ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლები, ტაკის ტყის მრეწველობის მეურეობათა შრომომეგზავრები, ზღვისპირეთის მიწათმოქმედნი. ყოველდღიურად დედაქალაქის ათობით საწარმო უგზავნის თავის პროდუქციას შორეულაღმოსავლეთსა და ციმბირელებს, თავისი შრომით უპასუხებს ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის იმ მოწოდებას, რომ ეტიურად ითვისონ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის სიმდიდრენი.

„დიდება წარმოების მოწინაეებსა და ნოვატორებს — მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მედროშეებს!" — სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეს საპირველმაისო მოწოდება სამართლიანად ეხება სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის ავტომატური ხაზების ქარხნის შრომითს კოლექტივსაც. ამ საწარმოს წარმომადგენელთა კოლონებში ტრანსპარანტებსა და დიაგრამებს შორის ყურადღებას იპყრობს ხარისხის სახელმწიფო ნიშნის ემბლემის გამოსახულება. პირველი მაისის წინ ქარხანაში სამახსოვრო მოვლენა მოხდა: აქ დამზადებული სახეს ავტომატურ ხაზს მიენიჭა უმაღლესი საატესტაციო მარკა. საგულისხმოა, რომ ეს ხაზი ორმომდამეთოთასეულ სახეობის ნაკეთობაა, რომლებსაც ჩვენს ქვეყანაში ხარისხის ნიშნის სამაპატიო ემბლემის „ტარების" უფლება აქვთ. საწარმოს კოლექტივი ერთ-ერთი ინიციატორია მოძრაობისა დეგიზით „ხარისხის გარანტია — პროექტიდან ნაწარმამდე". თოსნობის ავტორები სამშობლოს უპატაკებენ ახალ მიღწევებს:

ქარხნის ოთხასზე მეტმა მოწინავე მუშამ გადაწყვიტა საბჭოეთის კონსტიტუციის პირველი წლისთავისათვის შესრულოს ხუთწლედის სამი წლის დავალებანი.

საცხოვრებელ-შენობათა მაკეტები, „ოლიმპიადა-80"-ის ნაგებობათა მკაფიო კონტურები — ეს ტრანსპარანტები მოჩანს დედაქალაქის მშენებელთა კოლონაში. დღეს ისინი საღღესასწაულო დემონსტრაციაზე ახალი შრომითი გამარჯვებების პატაკებით მოიდგნენ.

წლითიწლობით მშვენდება მოსკოვი. რომელსაც საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის მოცულობით პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. მშენებლის პროფესია ტყუილად არ არის ერთ-ერთი ყველაზე საპატიო პროფესია ქალაქში. პირველი მაისის წინ ათასობით მოსკოველმა მიიღო ახალი ბინის გასაღები. ამ ბინების მნიშვნელოვანი რაოდენობა მესამე სახლთსაშენებელი კომბინატის კოლექტივმა ააშენა, რომელს სამუშაო მოედნები განლაგებულია ოლიმპიურ სოფელში, დედაქალაქის ახალ რაიონებში — იასენევში, სამხრეთ იზმაილოვში, ჩერტანოვში. სწორედ სასწაულო კოლონაში არიან საწარმოს საუკეთესო მუშაკები, კომუნისტური შრომის დამკვრელები ი. დიმონი, ა. ტიხონოვი, ვ. სამოხინი.

„მშენებლობის მუშაკებო! დროზე აამოქმედეთ ახალი ობიექტები! აშენეთ ხარისხიანად, მომჭირნედ, თანამედროვე ტექნიკურ საფეხურებზე!". სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებში ასახულ ამ ამოცანებს წარმატებით წყვეტს № 3 სახლთსაშენებელი კომბინატის კოლექტივი. პირველ კვარტალში მშენებლებმა საექსპლოატაციოდ გადასცეს ას ორმოცდაათი ათასამდე კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი — დავალებაზე გაცილებით მეტი.

ახალი ფერები შეუერთდა მოედნის სადღესასწაულო მორთულობას. კომბინატი „ნივა" გამოსახული პანოზე, რომლითაც დემონსტრაციაზე გამოვიდნენ მოსკოვის კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სოფლის მეურნეობის აკადემიის მასწავლებლები და სტუდენტები. მეორე წელია ზედიზედ მისი კოლექტივი იმარჯვებს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ჩვენი ქვეყნის უძველესი სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებელი დიდ ყურადღებას უთმობს არამავმოწანიადაგიანი ზონის სპეციალისტთა მომზადებას. მისი ახალგაზდა ყოველი ოთხი კურსდამთავრებულიდან სამი ამ ზონის მეურნეობებში წავა. აკადემიის საბჭოთა სტუდენტებთან ერთად სწავლობენ ორმოცდაათზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები.

ტრადიციისამებრ ტიმირიაზევლთა გვერდით მოდიან მოსკოვის ოლქის კოლეტიურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები, რომლებიც აკადემიასთან მჭიდრო თანამეგობრობით მუშაობენ.

დედაქალაქის ოქტომბრის რაიონს სამართლიანად უწოდებენ მეცნიერების რაიონს. ერთ კოლონაში მოდიან მუშები და მეცნიერები, რომელთა შემოქმედებითი კონტაქტები საყურადღებო შედეგებს იძლევა. სამოცდაათზე მეტმა ინსტიტუტმა და საშეცნიერო დაწესებულებამ ეკესასამდე თანამეგობრობის ხელშეკრულება დაიო სამრეწველო საწარმოოთან. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კოლონაში არიან მისი სრულფფლებანი წარმომადგენლები, თვალსაჩინო მეცნიერები, რომელთა ნამუშევრები ხელს უწყობენ პრაქტიკასთან მეცნიერების შერწყმის საკითხების გადაწყვეტას ოა ამით ეხმარებიან ქვეყნის საწარმოო ძალების ზრდას. 50 მილიონ მანეთზე მეტი — ასეთი ეკონომიური ეფექტი მიიღეს ქიმიური ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერებმა შარშან. აქ წყდება ფუნდამენტური მეცნიერების როული პრობლემები, იქმნება ახალი მაღალეფექტიანი ტექნოლოგიური პროცესები მრეწველობის მთელი რიგი დარგებისათვის. ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიებში კი დამთავრდა ალმასის მილების ახალი მაღალეფექტიანი მეთოდის შემუშავება. დღეს პროგრესული ტექნოლოგია სამრეწველო დანერგვის სტადიაშია.

„საბჭოთა მეცნიერების ცვლადი ეკიპაჟის ორბიტული სადგურების შექმნა კოსმოსში ადამიანის მაგისტრალურ გზად მიაჩნია" — წარწერილია ერთ-ერთ სადღესასწაულო ლოზუნგზე.

ნამდვილ გმირობაი გადაქცა ადამიანის მიერ კოსმოსის ათვისების ერთ-ერთი უშესანიშნავესი ეტაპი — „სალუტ-6"-„სოიუზ" კომპლექსის ამასწინანდელი 96-დღიანი ფრენა. ამან ახალი ფაქტიური წვლილი შეიტანა მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის კვლევის განვითარებისა და გამოყენების შესახებ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების. კოსმოსში ახალი ეპოპეის გმირები გახდნენ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები და მოძმე ჩეხოსლოვაკიის მოქალაქე. სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობა გასცდა ჩვენი პლანეტის ფარგლებს სამყაროს სივრცეებში.

გუგუნებს და ზეიმობს წითელ მოედანი. ხალხს ნაკადს ბოლო არ უჩანს, ყოველი ახალი კოლონა თითქოს ჩვენი მიღწევების ცოცხალი მატიანის ფურცელია. დედაქალაქის მუშათა კლასთან ერთ მწყობრში პირველი მაისის ოროზებით მოდიან ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მოსამსახურეები, მასწავლებლები, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები. საზეიმო განწყობილებით მოდიან მხატვრები, მწერლები, კომპოზიტორები, მსახიობები. „ხელოვნებისა და შრომის კავშირი" — ეს ლოზუნგი, რომელიც თვითონ ცხოვრებამ დაადგინა, მათ საარსებო პროგრამად გადაიქცა. ხალხთან მჭიდრო კავშირი, სოციალისტური რეალიზმის პრინციპების ერთგულება, პარტიულობა და ხალხურობა — აი ის მაღალი კრიტერიუმები, რომლებთანაც ხელმძღვანელობენ თავიანთ მუშაობაში კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის მაგალითი, შთამბეჭდავი და დასტურება იყო მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლების სადღესასწაულო დემონსტრაცია. მან ავლა ვიჩვენა, რომ საბჭოთა ადამიანების მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მთლიანად და გათამამებრივ შესასრულონ 1978 წლის დავალებანი, ახალო წარმატებებს მიაღწიონ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

წლევანდელმა პირველმა მაისმა შეაჯამა მეათე ხუთწლედის დამკვრელური წლის საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების პირველი ეტაპის შედეგები. მიღწეულ წარმატებებზე პატაკით საბჭოთა ხალხმა ცხადყო თავისი ურყევი გადაწყვეტილება წარმატებით შესასრულოს სკკპ XXV ყრილობის წინასწარდასახულნანანი, მშვიდობიანი ალმშენებლობითი შრომით ძლიერება უმრავლოს საბჭოთა კავშირს, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ ადგას კომუნიზმის გზას.

წითელი მოედნიდან რეპორტაჟი მიჰყავდათ საკდესის კორესპონდენტებს: ტ. აბაშარაბოვას, მ. ბერასიმოვს, ნ. ლეონოვას, ე. მაიოროვს, ვ. რიაბოვს, რ. ფირინინას.

ჩვენი სამშობლოს ქალაქები

ლენინგრადი. 1 მაისი. დღეს ლენინგრადელთა სადღესასწაულო კოლონების მარშრუტები დაიწყო ქალაქის ყოფილი გარეუბნებიდან, იქიდან, სადაც გასული საუკუნის დამლეგს პირველი მაისობანი ეწყობოდა.

სასახლის მოედანი — აქ საყოველთაო-სახალხო ზეიმობის დღეებში ქალაქის მშრომელები უპატაკებენ ხოლმე თავიანთ მიღწევებს. „ყოველივეს, რაც პარტიამ დასახა. — შეგასრულებთ!". — აი, უკვე ექვსი ათწლეულია, ეს სპარქოლო ლოზუნგი განსაზღვრავს ლენინგრადელ მშრომელთა მისწრაფებასა და საქმეებს. გოელრის გეგმით ჯათელისწინებული პირველი ტურბინები და ტრაქტორები „ფორძონ-პუტილოველი" იყო პასუხი პარტიის მოწოდებაზე ქვეყნის ელექტროფიკაციისა და სოფლის ტექნიკური განახლების შესახებ. სასახლის მოედნიდან გაიკილეს პირველი ხუთწლედების ოცდახუთიათასიანელები და ენთუზიასტები. აქედან მოდიოდნენ ლენინგრადელი მეყამირეები და ბამელები. დღეს კი ლენინგრადელები აქ მოვიდნენ და უპატაკეს, თუ როგორ ასრულებენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. ქალაქისა და ოლქის მრეწველობამ ვადამდე შეასრულეს ოთხი თვის საწარმოო პროგრამა.

ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ვ. რომანოვი, ქალაქისა და ოლქის სხვა ხელმძღვანელები, პარტიის ვეტერანები, წარმოების მოწინავენი.

მოედანზე ჩაიარეს მეტალურგებმა და ფეიქრებმა, ხელსაწყოთმშენებლებმა და ქიმიკოსებმა, მუშათა კლასის ახალგაზრდა ცვლამ, მეცნიერებმა, სტუდენტებმა. სასახლის მოედანი გულთბილად მიესალმა მეზღვაურებს, რკინიგზელებს, ავტომობილისტებსა და სამდინარო ფლოტის მუშაკებს, რომლებმაც ერთიანი სატრანსპორტო კონვეიერი შექმნეს. მათი ინიციატივა მოიწონა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

სახელმწიფო ხარისხის ნიშნით წარსდგა დღევანდელ დემონსტრაციაზე სამასძალიანი ტრაქტორი „კიროველი", რომლის შემქმნელებსაც ლენინური პრემია მიენიჭათ. ხელმძღვანელობენ რა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებებითა და რჩევა-დარიგებებით, რომლებიც მან ცოცხალი მატიანის ფურცელი. დედაქალაქის მუშათა კლასთან ერთ მწყობრში პირველი მაისის ოროზებით მოდიან ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მოსამსახურეები, მასწავლებლები, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები. საზეიმო განწყობილებით მოდიან მხატვრები, მწერლები, კომპოზიტორები, მსახიობები. „ხელოვნებისა და შრომის კავშირი" — ეს ლოზუნგი, რომელიც თვითონ ცხოვრებამ დაადგინა, მათ საარსებო პროგრამად გადაიქცა. ხალხთან მჭიდრო კავშირი, სოციალისტური რეალიზმის პრინციპების ერთგულება, პარტიულობა და ხალხურობა — აი ის მაღალი კრიტერიუმები, რომლებთანაც ხელმძღვანელობენ თავიანთ მუშაობაში კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

საპირველმაისო დღესასწაულზე

□

მეტმა ნაკეთობამ ხარისხის უმაღლესი კატეგორია მიიღო.

ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედი შრომის ნაყოფიერების ზრდის მაღალ მაჩვენებლებსაც გულისხმობს. შორს გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს მრავალდაზგოსანთა მოძრაობის ინიციატორის—დარნიცის აბრეშუმის კომბინატის მოწინავე მჭსოველთა სახელი. დღეს ლემონსტრანტთა სადღესასწაულო კოლონებში მოდიოდა სოციალისტური შრომის გმირი ლ. კ. კონდრატიევი, რომლის მეთოდითაც შრომობს ამ საწარმოში მისი ათასამდე თანამოსაქმე. პირველი მაისის დამდეგი მჭსოველებმა აღნიშნეს კიდევ ერთი შრომითი გამარჯვებით: მ. ს. ბოგუშმა, რომელიც 126 დაზგაზე მუშაობს, უპატაკა ხუთწლეანი დავალების ვადამდე შესრულება.

მიღწეული წარმატებებიაათვის სიამაყის გრძნობით გამოვიდნენ დემოსტრაციაზე ლენინის სახელობის ქარხანა „ორსენალის" მშრომელები. ბევრნი აქ ერთიანი განაწესით მუშაობენ. სიახლის თაოსანი იყო ცნობილი ხარატი ვ. პ. შჩერბინა. ახლა შრომის პროგრესულ ორგანიზაციაზე უკვე სამი ათასზე მეტი კაეული მუშა გადავიდა.

უკრაინის დედაქალაქის მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაციამ დამაჯერებლად ცხადყო კიეველთა დიდი შრომითი აღმავლობა პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, გადაწყვეტილება, რომ კელავაც მოახმარონ მთელი ძალ-ღონე, ცოდნა და გამოცდილება ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

მინსკი. 1 მაისი. სადღესასწაულო დემონსტრაციაზე გამოსულ მინსკელები სიამაყის გრძნობით მოახსენებენ სამშობლოს, რომ პირველ კვარტალში რეალიზებული აქვთ 16,5 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. შრომის ნაყოფიერება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6,3 პროცენტით გაიზარდა, რაც დასახულ ტემპს სჭარბობს. ბევრი ბინა გადაეცა სიეჭსპლოატაციოდ ვეგმის გადამეტებით.

ტრიბუნაზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. მ. მაშეროვი, ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ე. ე. პოლიაკოვი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტ. ი. კისელიოვი, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები.

იმ მოწინავე საწარმოებს შორის, რომელთა წარმომადგენლები გამოვიდნენ დემონსტრაციაზე, იყო მინსკის ვ. ი. ლენინის სახელობის სატრაქტორო ქარხანაც. ტრანსპარანტებზე იუწყებოდა: გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 80 ტრაქტორი. კარგად გაისარჯნენ ავტოფეხ მინსკის საავტომობილო ქარხნის, ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის საწარმოო გაერთიანება „ინტეგრალის", ბევრი სხვა საწარმოსა და ორგანიზაციის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურენი. მათ დამაჯერებლად ცხადყვეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც იმუშაონ ასეთივე ენთუზიაზმით, მთელი ძალ-ღონე მოახმარონ 1978 წლისა და მთლიანად ხუთწლედის საგეგმო დავალებების, სოციალისტური ვალდებულებების უთუო შესრულებას.

საპირველმაისო დემონსტრაციამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ შინსკელები, რესპუბლიკის ყველა მშრომელი მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი მშობლიური პარტიის გარშემო.

ბაკო. 1 მაისი. ორი ციფრი — „1" და „58" მოჩანს ტრანსპარანტებზე, რომლებითაც სადღესასწაულო მანიფესტაციაზე გამოვიდა მშრომელი ბაკო. პირველი მაისის დამდეგს რესპუბლიკის მშრომელებმა ზეიმით აღნიშნეს აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 58-ე წლისთავი. საპირველმაისო კოლონების გაფორმება გამოხატავს იმ გამარჯვებათა შესანიშნავ პანორამას, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახშია მოპოვებული.

დემონსტრანტებს მიესალმნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ა. ალიევი. აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ა. ხალილოვი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ი. იბრაგიმოვი და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები.

აბერბაიჯანისა და მისი დედაქალაქის მრეწველობის მშრომელებმა პირველი მაისისათვის ვადამდე შეასრულეს ხუთწლედის მესამე წლის ოთხი თვის დავალებანი. გეგმის გადაჭარბებით რეალიზებულია ათმილიონნობით მანეთის ნაწარმი.

სადღესასწაულო კოლონებში მოდიან რესპუბლიკის მენავთობეები და მანქანათმშენებლები. დღეს მეგობრობის ხიდი აკავშირებს ბაკოსა და დასავლეთ ციმბირის ნავთობის საბადოებს. ავითარებენ რა ძმობის ტრადიციებს, ბაკოელმა მანქანათმშენებლებმა წლის დამდეგიდან ტიუმენელ მშრომელებს გაუგზავნეს 45 დასახელების ხუთი ათასი ერთეულიზ მოწყობილობა. „შევასრულოთ დასავლეთ ციმბირის შეკვეთები ვადამდე და მაღალხარისხოვნად!" — წერია ტრანსპარანტებზე. ასე უპასუხებენ „ზერბაიჯანის დედაქალაქის მანქანათსაშენებელ საწარმოთა მშრომელები სრულიად საკავშირო ალკა XVIII ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოწოდებას ციმბირის ნავთობმომპოვებლებისადმი დახმარების გაძლიერების შესახებ.

ერევანი. 1 მაისი. სადღესასწაულოდ მორთულა სომხეთის დედაქალაქის ცენტრალური მოედანი. ფრიალებს დროშები, ყველგან მოჩანს ტრანსპარანტები სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებით, საწარმოთა კოლექტივების შრომითი პატაკებით.

სადღესასწაულო კოლონებს მოუძღვიან სოციალისტური შეჯიბრების მეწინავენი. ბევრი მოწინავე კოლექტივის მუშაობის დეგეზია — „ხარისხის ნიშანი — ყოველ ახალ ნაკეთობას!" ამ დროგში მიღწეულ წარმატებებს იღწყებიან გაერთიანებები „სომხეთელექტროაპარატის", „სომხეთელექტროგანათების", მთელი რიგი სხვა საწარმოების კოლექტივები. აქ პროდუქციის ნახევარზე მეტი ხარისხის ნიშნით გამოდის. პირველი მაისის დამდეგს სპატიო ხუთკუთხედმა დაამშვენა სომხეთში გამოშვებული 1300-ე ნაკეთობა.

რესპუბლიკის მშრომელები, რომლებიც ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო და საშინაო პოლიტიკას, გამოხატავენ მტკიცე გადაწყვეტილებას ხორცი შეასხან პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ვადამდე დაამთავრონ მეათე ხუთწლედი.

დემონსტრანტთა სადღესასწაულო კოლონებს მიესალმნენ სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კ. ს. დემირჩიანი, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ე. სარკისოვი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფ. ტ. სარკისიანი.

ვლადივოსტოკი. პირველი მაისის დღესასწაულები შორეულაღმოსავლეთში უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვიფიარეგნობაში აღნიშნეს. ყველას ახსოვს ამასწინანდელი დღეები, როცა ქალაქს ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. დღეს სადღესასწაულო დემონსტრაციაზე საწარმოთა კოლექტივებმა უპატაკეს: ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებანი და რეკომენდაციები, რომლებიც ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთის რაიონებში მოგზაურობის დროს მოგვეცა, მოქმედების საბრძოლო პროგრამა გახდა.

ხუთწლედის მესამე წლის დავალებანი ვადამდე შესრულებისათვის შეჯიბრების ლიდერები არიან ვლადივოსტოკელ ავტომობილმშენებელთა ერთიანი საწარმოო გაერთიანების „ზარიას" კოლექტივები. პირველი მაისის წინ ვლადივოსტოკელ ავტომობილმშენებლებმა ამოქმედეს ახალი მეთოდით — ფოლადის ვეგმა-ბრაფიკის გამოყენებით. ეს აჩქარებს ტვირთის გადაზიდვას, უფრო იოქქმანს ხიდს ვაგონების, ვეგმებისა და ავტომობილების გამოყენებას.

უპატაკიზენ რა პირველ წარმატებებს, შორეულაღმოსავლელები ხაზგასმით ეფიმონსტრაციაზე მოვიდნენ კონკრეტული ვალდებულებებით, რომელთა მიზნანი ნედლეულისა და მასალების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის რაციონალური, ყაირათიანი გამოყენება, შრომის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლება.

სადღესასწაულო დემონსტრაციები გაიმართა ავრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში.

(საკდესი).

პირველი მაისი ჩვენს პლანეტაზე

ყველა კონტინენტის ხალხებმა იზეიმეს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე — 1 მაისი

სოფია. საზეიმო ვითარებაში და სიხარულით აღნიშნეს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე ბულგარელმა მშრომელებმა. 9 საქმეებრის სადღესასწაულოდ მორთულ მოედანზე ვადამართა მრავალათასიანი დემონსტრაცია, რომლის მონაწილისაც ვიორგი დიმიტროვის მავზოლეუმის ტრიბუნიდან მიესალმნენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი, ქალაქისა და ბულგარეთის სახალხო ბრძოლის ვეტერანები.

ბერლინი. ბერლინის მშრომელებმა პირველი მაისი აღნიშნეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IX ყრილობის გადაწყვეტილებების შემდგომი განხორციელებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 30-ე წლისთავისათვის ბრძოლის ნიშნით. მშრომელთა დემონსტრაციის მონაწილეებს მიესალმნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. ჰონეკერი, რესპუბლიკის სხვა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები.

წარმოთქვა რა მისასალმებელი სიტყვა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, თანამდებობიდან ჩამოცილებულ ალისფერი დროშებით. დემონსტრაციის მონაწილეთა პირველ რიგებშია დიდი ო



ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. 1978 წლის 1 მაისის ზეიმი. მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია. ცენტრალური ტრიბუნაზე.

ვლ. გინზბურგისა და მ. კვირკაველის ფოტო.

შრომის, მშვიდობის, ლენინური მეგობრობის დროშით

(დასასრული)

ვამტკიცოთ და განვავითაროთ სამაისო სოციალისტური შეჯიბრების შრომითი შეძახილები“, ლენინის რაიონის მშრომელებს პირველ მაისს ბევრი რამ აქვთ საპატაკო. გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის ოთხი თვის გეგმა.

რუსთაველის პროსპექტზე შემოდიან რაიონის წამყვან საწარმოთა კოლონები, რომლებმაც ყველაზე დიდი წვლილი შეიტანეს სამაისო სოციალისტური შეჯიბრების დროს მოპოვებულ შრომითს გამარჯვებაში. ტრიბუნებთან გამოჩნდნენ სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის, ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის, „ელექტროაპარატის“, ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნისა და სხვა სახელოვანი სამრეწველო საწარმოების კოლექტივების კოლონები. მთელ ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ არის ცნობილი ამ სამრეწველო საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქცია.

კონკრეტული საქმეებით, გეგმებისა და გადიდებული სოციალისტური ვალდებულებების გადაჭარბებით გამოეხმაურნენ ლენინის რაიონის მშრომელები სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაზნებარე საპირველმაისო მოწოდებას:

— საბჭოთა კავშირის მშრომელებო! ობრძოლეთ 1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, განუხრელად აამაღლეთ შრომის ნაყოფიერება, წარმოების ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი!

პროსპექტზე შემოვიდნენ იმ რაიონის კოლონები, რომელიც სიამაყით ატარებს დიდი პროლეტარული დღესასწაულის — პირველი მაისის სახელს.

პირველი მაისის რაიონის მშრომელებს მოუძღვის სსრ კავშირის 50-ე წლისთვის სახელობის საწარმოო გაერთიანების „ოქტომბერი“ ელექტროაპარატების ქარხნის ელექტროტექნიკური ნაწილის ბრიგადა. ბრიგადის ოთხ ოქტომბერელ ქალს — ეკატერინე ბაბაიანს, ანა ბაბაიანს, ანა ბაბაიანს, ანა ბაბაიანს — ერთ-ერთი გამარჯვებულია რაიონში ფართოდ გაჩაღებული სამაისო სოციალისტური შეჯიბრებისა. მას მოუყვებიან კამეოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“, საწარმოო გაერთიანება „თბილისხელწყალის“, სხვა სამრეწველო საწარმოების მშრომელები.

აი, უკვე რამდენიმე წელია პირველი მაისის რაიონის საწარმოებს შორის არ არის არც ერთი ჩამორჩენილი. რაიონის მშრომელებს თავიანთი წვლილი შეაქვთ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

რუსთაველის პროსპექტზე აღმართულ ტრიბუნებს ჩაუარეს დეკორატიულად გაფორმებულმა მანქანებმა, რომლებზეც გამოკრულია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებისადმი მიძღვნილი ტრანსპარანტები. დემონსტრანტთა კოლონების თავზე აღმართულ წითელ ტრანსპარანტებზე კვითხულობთ შთამაგონებელ სტატუებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამაისო მოწოდებებიდან:

— გაუმარჯოს საბჭოთა კონსტიტუციას — მსოფლიოს პირველი საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოს ძირითად კანონს!

კოლონების სადღესასწაულო გაფორმება ეძღვნება საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის მიღებას.

საქართველოს სსრ კონსტიტუციამ ქვეყნის ძირითადი კანონის შესაბამისად შეისისხლხორცა საბჭოთა სახელმწიფო მშენებლობის, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების მდიდარი გამოცდილება, საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმობის დიადი ძალა. საქართველოს სსრ კონსტიტუციაში გათვალისწინებულია ისტორიულად ჩამოყალიბებული თვისებურებანი, საქართველოს სსრ შემადგენლობაში შედიან აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიაზე, სადაც ჩვენი რესპუბლიკის კონსტიტუცია დამტკიცდა, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახალი კონსტიტუცია — ეს არის მრავალეროვანი საქართველოს სიმბოლო. ინტერნაციონალიზმი ჩვენი დროშა, ჩვენი მრწამსი, ყოველივე ეროვნულისა და შრომელიერის განვითარება-აყვავების უმთავრესი გარანტიაა.

საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის საპირველმაისო დემონსტრაციის მონაწილეებმა კვლავ დაადასტურეს თავიანთი მისწრაფება და გადაწყვეტილება თვალსაჩინოვდეთ გაუფრთხილდნენ, განავითარონ და გაამდიდრონ ჩვენი ხალხის ინტერნაციონალური და პატრიოტული რევოლუციური ტრადიციები.

რუსთაველის პროსპექტზე მომავალ დემონსტრანტთა კოლონებში მრავლად არიან ახალგაზრდები — საშუალო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ტექნიკუმების მოსწავლეები, ახალგაზრდა წარმოების მუშაკები და მეცნიერი თანამშრომლები, სტუდენტები, შემოქმედი ახალგაზრდობის წარმომადგენლები. მათ დიდ უმრავლესობას კომკავშირელები შეადგენენ. საქართველოს ახალგაზრდა თაობამ, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა, მღელვარებით აღიქვა სტატუები, რომლებითაც სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის ტრიბუნიდან მიმართა საბჭოთა ახალგაზრდობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა:

„თქვენ საბოლოო გამარჯვებამდე უნდა მიიყვანოთ დიადი საქმე, რომელიც თქვენმა მამა-პაპამ დაიწყო. მაშ ყოფილიყავით მათი ღირსეული ცვლა, მაღლა ეფტარებინოთ კომუნიზმის დროშა!“

ეს მგზნებარე სიტყვები გულში ჩასწვდა ყოველ ახალგაზრდას. საბჭოთა ახალგაზრდობა პარტიის მოწოდებას უპასუხებს ყველა კომკავშირული თაობის დევიზის სიტყვებით: „პარტიასთან ერთად, პარტიის წინამძღოლობით — შრომისა და გამარჯვებისათვის!“.

მოდიან ოქტომბრის რაიონის დემონსტრანტთა კოლონები. მეწინავე მანქანას ამშვენებს თბილისის მშრომელთა საბრძოლო დევიზი — „ხუთწლედის დამკვიდრებლურ წელს — ახალი შრომითი მიღწევები“.

დემონსტრანტებს მოაქვთ ტრანსპარანტები და საწარმოო მაჩვენებლების ამსახველი პლაკატები. საპირველმაისო დღესასწაულისათვის რაიონის მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ყველა საწარმომ შეასრულა ოთხი თვის გეგმა.

ოქტომბრის რაიონის დემონსტრანტთა კოლონას მიუძღვის თბილისის მეტროპოლიტენის კოლექტივი. თბილისის მეტროთი გადაყვანილი მილიონობითი მგზავრი ხმას უერთებს იმ მაღალ შეფასებას, რომელიც თბილისელ მეტროპოლიტენელთა შრომას მისცეს სსრ კავშირის გზათა სამინისტრომ და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, როცა ორჯერ დაჯილდოვეს ეს კოლექტივი გარდამავალი წითელი დროშით სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული გამარჯვებისთვის.

დემონსტრანტთა რიგებში არიან თბილისის მეტრომშენებლები. მათ საქართველოს სსრ კონსტიტუციის მიღების დღისათვის ვადამდე შეასრულეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ოთხი თვის გეგმა თბილისის მეტროპოლიტენის საბურთალოს ხაზის მშენებლობაზე.

მარშითა და სიმღერით მოდიან რუსთაველის პროსპექტზე დემონსტრანტთა კოლონები. ტრიბუნებს საპირველმაისო დრამშებით ჩაუარეს ქალინინის რაიონის მშრომელებმა.

ტრიბუნები მიესალმებიან სახელგანთქმულ მეცნიერებს. ეს მათ მოუწოდა პარტიამ:

— საბჭოთა მეცნიერებო! აამაღლეთ მეცნიერული აკადემიის ეფექტიანობა, განამტკიცეთ მეცნიერებისა და წარმოების კავშირი!

დიდება საბჭოთა მეცნიერებს! 26 მილიონი მანეთი — ასეთი ეკონომიკური ეფექტია მიღებული გასულ წელს სახალხო მეურნეობაში დანერგილი საქართველოს მეცნიერებათა ნამუშევრებთან. ამ ციფრს ქმნიან ქართველ მეცნიერთა მიერ შემუშავებული ინოვაციური მაღლივი თაღოვანი კაშხლების, რთული სიგრცითი კონსტრუქციების განგრძობითობა და მეწყრის პროგნოზირების მეთოდები, კოლხეთის დაჭაობებული მიწების დაშრობა და მეცნიერების ბევრი სხვა მიღწევა.

დემონსტრანტთა რიგებში მოდიან ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი. რომლებიც მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, ნიჭსა და შთაგონებას აზმარენ ხალხის ინტერესებს სამსახურს, შობლიური კომუნისტური პარტიის საქმეს.

სადღესასწაულო კოლონებში ბევრი მშენებელია. მათი მარჯვენით იგეგო ქალაქის სხვადასხვა რაიონში საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საავადმყოფოები, საბავშვო დაწესებულებები, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები. წლითიწლობით იზრდება საბინაო მშენებლობის მასშტაბი. წელს თბილისელები მიიღებენ დაახლოებით 500 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელ ბინებს.

კიროვის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლებს მოუძღვის მანქანა, რომელიც აყვავებული ნუშისა და ატმის რტოებით არის მორთული. ეს გაზაფხულის, პირველი მაისის შესანიშნავი დღესასწაულის განსახიერებაა.

დემონსტრანტთა რიგებში მოდიან კამოს სახელობის სამსხმელო-მექანიკური ქარხნის, პატონის სახელობის ელექტროშესადუღი მოწყობილობის ქარხნის, ფაბრიკა „ამირანის“, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ მშრომელთა კოლექტივები. ყოველი კოლექტივი უპატაკებს სამაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებების შესახებ.

დემონსტრაციის მონაწილეებს მოაქვთ ტრანსპარანტები და ლოზუნგები, რომლებიც გამოხატავენ, რომ ისინი მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ ლენინურ საგარეო პოლიტიკას. საბჭოთა ადამიანები მთლიანად უჭერენ მხარს მშვიდობის პროგრამას, რომელიც პარტიის XXIV ყრილობამ გამოაცხადა და სკკპ XXV ყრილობამ განავითარა.

მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით გამოვიდა საპირველმაისო დემონსტრაციაზე ქალაქის ორი უდიდესი ინდუსტრიული რაიონი — 26 კომისრისა და საქარხნო რაიონები. არც თუ ისე დიდი ხნის წინ მათი ტერიტორია ქალაქის ერთი მოუწყობელი, გარეუბანი იყო. ახლა კი ამ რაიონებში აღიმართა თანამედროვე სამრეწველო საწარმოთა კორპუსები, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მასივები, სკოლები, შეიქმნა კულტურულ-საგანმანათლებლო, სამკურნალო, სავაჭრო და კომუნალური საწარმოებისა და დაწესებულებების ფართო ქსელი.

დემონსტრანტთა რიგებში არიან სახელოვანი საწარმოების — დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, საწარმოო გაერთიანებების „ელექტროხელსაწყოს“, „გათიადის“, „ისნის“, კერამიკული კომბინატის, ქარხანა „მიკროძრავასა“ და სხვათა კოლექტივები.

მოდიან ფართოდ გაჩაღებული სამაისო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ამფრის კომსომოლსკის შრომელთა წინაშე გამოსვლისას თქვა: „ამ ეტაპზე სოციალისტური შეჯიბრების ძალა და ეფექტიანობა გამოიხატება არა ცალკეული, თუნდაც დიდი მიღწევებითა და რეკორდებით, არამედ იმით, რომ თითოეული კოლექტივი მუშაობდეს ერთსულოვნად და აწყობილად, ისე, რომ არ ჰყავდეს არც ერთი ჩამორჩენილი. აი, მხოლოდ ასე შეეძლებთ ჩვენ უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მაღალი საწარმოო და საგეგმო დისციპლინა. ვიპოვოთ და გამოვიყენოთ ყველა ახალი რეზერვი, ავამაღლოთ სახალხო პროდუქციის ხარისხი“.

თბილისის მშრომელები ხორცს ასხამენ პარტიის ამ მოთხოვნას. საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების საპირველმაისო დემონსტრაციის სადღესასწაულო კოლონებში არიან ისინი, ვინც თავიანთ სამუშაო ადგილზე პრაქტიკულად წყვეტს მეათე ხუთწლედის ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, ამაღლებს წარმოების ეფექტიანობას და აუმჯობესებს მუშაობის ხარისხს.

საპირველმაისო დემონსტრაციის მონაწილეებს ქალაქის ქუჩებში, პროსპექტებზე და მოედნებზე მოჰქონდათ ტრანსპარანტები, რომლებიც ეძღვნება ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ამ ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს „მცირე მიწა“ და „აღორძინება“. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ეს მოგონებები ომის წლებისა და ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის პირველი წლების შესახებ გვასწავლის ვიცხოვროთ, ვიმუშაოთ და ვებრძოლოთ ლენინურად.

ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებებში ღრმად არის გაშუქებული დიდი სამამულო ომის წლებსა და სახალხო მეურნეობის ომის შემდგომი აღდგენის პერიოდში საბჭოთა ადამიანების გმირობის სიდიადე. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებებში დამაჯერებლად არის ნაჩვენები პარტიის უდიდესი ორგანიზატორული როლი.

ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებები „მცირე მიწა“ და „აღორძინება“ ჩვენი ეპოქის შესანიშნავი დოკუმენტები. პარტიისა და ხალხის საბრძოლო ideური იარაღი, პარტიულ-პოლიტიკური გამოცდილების ფასდაუდებელი საგანძურია.

რუსთაველის პროსპექტზე ტრიბუნებთან მომავალ დემონსტრანტთა რიგებში ვხედავთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამაღლებულ მოწოდებას:

— მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, — წინ, კომუნიზმის მშენებლობის ახალი გამარჯვებებისაკენ!

დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, მშრომელთა წარმომადგენლებს საპირველმაისო სადღესასწაულო დემონსტრაციის ამთავრებენ ორჯონიკიძის რაიონის მშრომელები. ეს ქალაქის ერთ-ერთი უდიდესი რაიონია. მის ტერიტორიაზე არის სამრეწველო საწარმოებიცა და სამინისტროებიც და დიდი სამეფიანო დაწესებულებებიც მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ეს არის უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რაიონი, სტუდენტობის რაიონი, მეცნიერების რაიონი.

თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია დასასრულს უახლოვდება. ცენტრალურ ტრიბუნას ჩაუარეს თბილისის სტუმრებმა, — იტალიის წინაადმდეგობის მოძრაობის მონაწილეებმა. ისინი საქართველოში იტალიის ეროვნული გმირის ფორე მოსულიშვილის სამშობლოში ჩამოვიდნენ, რათა მის თანამემამულეებთან, საბჭოთა ადამიანებთან ერთად მიეღოთ მონაწილეობა საპირველმაისო დღესასწაულში. იტალიელ პატრიოტებთან ერთად მოდიან ყოფილი ქართველი პატრიოტები, რომლებიც მტრის ზურგში იბრძოდნენ მეორე მსოფლიო ომის წლებში.

საპირველმაისო დემონსტრაციის მონაწილეთა სადღესასწაულო მსვლელობას ამთავრებს სპორტსმენთა კოლონა.

თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების საპირველმაისო დემონსტრაციამ კიდევ ერთხელ ცხადყო საქართველოს დედაქალაქის მშრომელების, მთელი ქართველი ხალხის უსაზღვრო ერთგულება კომუნისტური პარტიისადმი, კომუნიზმის იდეალებისადმი, მზადყოფნა — პირნათლად შეასრულონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი, მთელი ძალ-ღონე მოახმარონ მძლავრი საბჭოთა სამშობლოს აყვავების საქმეს, პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების საქმეს, საბჭოთა კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობისა და შეკავშირების, მათი ინტერნაციონალური სოლიდარობის განმტკიცების.

(საინფორმო).

მოზეიმე საქართველო

მშრომელთა დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის, სიხარულისა და მეათე ხუთწლედის მესამე წლის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის ენერგიული ბრძოლის სულისკვეთების, მაღალი პატრიოტული და ინტერნაციონალისტური განწყობილების ვითარებაში აღნიშნეს საქართველოს მშრომელებმა პირველი მაისი — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღესასწაული. ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს სადიდებლად და სასახელოდ მოპოვებული წარმატების ნამდვილი დემონსტრაცია იყო წლევანდელი მაისობა. მშობლიური კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის გარშემო მჭიდრო შეკავშირების გულწრფელი, საზეიმო განწყობილება სუფევდა ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში, მთასა და ბარში, ყველა ოჯახში. ამ დიადი დღესასწაულის შესახებ გვატყობინებენ ჩვენი გაზეთის საკუთარი კორესპონდენტები: **ი. გოგენ ავა, მ. გორგილაძე, გ. თედეევი, დ. ბედენიძე, და ხ. ხარაზიშვილი.**

სოხუმი

სადღესასწაულოდ მორთულა აფხაზეთის შავიზღვისპირეთი, მისი ქალაქები — სოხუმი, გაგრა, გუდაუთა, ოჩამჩირე, გალი, ტყვარჩელი, თვალწარმტაცი დაბები და სოფლები.

დილის 10 საათია, გაისმის საზეიმო მარშის მელოდიები, აწყობა სოხუმის მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაცია. ვ. ი. ლენინის მოედნის ცენტრალურ ტრიბუნაზე ადგიან ადგილს იკავებენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ადლეიბა, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. შინკუბა, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. საყვარელიძე, სხვა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მოწინავე ადამიანები, სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოებისა და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები, საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები და კანდიდატები, პარტიის, სამამულო ომის ვეტერანები, შრომის მოწინავენი, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

ტრადიციისამებრ ტრიბუნას პირველებმა ჩაუარეს იმ შრომითმა კოლექტივებმა, რომლებმაც ყველაზე მეტად ისახელეს თავი სამაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ეს საპატიო უფლება წლევანდელ დემონსტრაციაზე მოიპოვეს სოხუმის ხელსაწყოს ქარხნისა და სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივებმა.

მწყობრი ნაბიჯებით ტრიბუნას ჩაუარეს სპორტსმენებმა, მოდიან ფიზკულტურული მოძრაობის ვეტერანები, ჭაბუკები და ქალიშვილები, ჩემპიონები, რეკორდსმენები, რომლებსაც არაერთგზის დაუცავთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტული დირსება.

ყვავილებით, ლოზუნგებით, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტებით მოდის ახალგაზრდობა. ტრიბუნებს სახელგაბრწყინებულებმა ჩაუარეს ქალაქის სკოლების და სასწავლებლების, ტექნიკუმებისა და ინსტიტუტების მოსწავლეებმა, სტუდენტებმა, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა კოლონებმა.

მეათე ხუთწლედის მესამე დამკვრელურ წელს ახალი ამოცანების წინაშე დგანან სოხუმის მრეწველობისა და ტრანსპორტის, სამშენებლო ორგანიზაციების მუშაკები. პირველი შედეგები კარგია, გასულ ოთხ თვეში ქალაქის ბევრმა საწარმომ გეგმის გადამეტებით გამოუშვა ათიათასობით მანეთის პროდუქცია, გადაჭარბებით შეასრულა მისი რეალიზაციის დავალებანი, გაუმჯობესა ნაწარმის ხარისხი და გააფართოვა ასორტიმენტი.

სოხუმის მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაციამ ერთხელ კიდევ ცხადყო მშობლიური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მჭიდრო შეკავშირება. დემონსტრაციამ ხალხთა მეგობრობის, ძმობის, მშვიდობის დეკეზით ჩაიარა.

ბათუმი

ბოლოხევლელი სანახავია სამაისოდ მორთული აჭარის ასსრ დედაქალაქი ბათუმი. კაშკაშა მზეს სითბოთი და სიხარულით აუფსია გარემო. სახლების ფასადები დამშვენებულია წითელი დროშებითა და პლაკატებით, ქუჩებში ყიჟინს საზეიმო მუსიკა, დიდი რევოლუციური და შრომითი ტრადიციებს მქონე ბათუმელები ახალი წარმატებებით შეხვდნენ ხალხთა საერთაშორისო სოლიდარობის დღესასწაულს — პირველ მაისს, მათ ვადამდე დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ოთხი თვის გეგმა. ახლახან მანქანათმაშენებელი ქარხნისა და საკონსერვო მრეწველობის კომბინატის სამ პროდუქციას მიენიჭა სახელმწიფო ხარისხის ნიშანი. ამჟამად ბათუმელთა 37 ნაწარმი გამოდის ხარისხის ნიშნით, რაც მთელი პროდუქციის 20 პროცენტს შეადგენს.

დილის 10 საათზე დაიწყო საზეიმო დემონსტრაცია, ტრიბუნაზე ადიან პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. დისამიძე, აჭარის

(დასასრული მე-4 გვ.)

მაისობა თბილისში



1978 წლის 1 მაისის დღესასწაული თბილისში. ხურათებზე: მოსწავლეთა კოლონა რუსთაველის პროსპექტზე; ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები ტრიბუნასთან; ყოფილი იტალიელი და ქართველი პარტიზანები დემონსტრაციაზე; მოდის ფიზკულტურელთა კოლონა.

ვლ. გინზბურგისა და ს. კილაძის ფოტო.

პოზეიმე საქართველო

(დასასრული)

ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. უნგიაძე, სხვა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა-მუშაკები, მოწინავე ადამიანები.

მოზეიმე კოლონებს წინ მოუძღვიან რევოლუციისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანები. ლენინის სახელობის მოედანს ალისფერი დროშებითა და ვარდ-ყვავილებით ავსებენ მოსწავლეთა მრავალთასიანი კოლონები. მათ მოჰყვებიან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული მენავთობეები, რომელთა პროდუქციის 50 პროცენტი სახელმწიფო ხარისხის ნიშნით გამოდის. მოდიან საკავშირო დროშის მრავალგზის მფლობელი ხსოდამუშავებელი კომბინატის კოლექტივი, ტყავის საწარმოო გაერთიანების, მინქანთმშენებელი ქარხნის, საკონსერვო მრეწველობის კომბინატის, ელექტრომექანიკური ქარხნის მშრომელები, საქართველოს საზღვაო სახაოსნოს მეზღვაურები და დოკერები, მეავეჯეები, მეფეხსაცმელეები, ტრანსპორტელები და მშენებლები. ტრანსპარანტები და მაკეტები მოგვითხრობენ მათ შრომითს მაჩვენებლებზე.

ტრიბუნას მწყობრი ნაბიჯით ჩაუარეს პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა, საზღვაო და პროფტექნიკური სასწავლებლების კურსანტებმა და მოსწავლეებმა, მედიცინის, კულტურისა და ხელოვნების მუშაკებმა.

ერთსულოვანი დარაზმულობით ბათუმელებმა გამოხატეს თავიანთი ერთგულება კომუნისტური პარტიისადმი, მშვიდობისადმი.

ცხინვალი

ჯერ კიდევ საპირველმაისო დღესასწაულის წინა დღეებში ლამაზად მორთეს და მოკაზმეს ქალაქი ცხინვალი. საზეიმოდ გამოიყოფება თეატრალური მოედანი — სამხრეთ ოსეთის მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაციების ადგილი.

თეატრის შენობის ფასადზე მოჩანს მარქსის, ენგელსის, ლენინის, დიდი პორტრეტები.

11 საათი. ტრიბუნაზე ადიან ოლქის და ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები, რევოლუციის ვეტერანები, პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. სანაკოევი, საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ჰ. მარდანოვი და სხვ.

იწყება დემონსტრაცია. მუსიკის ხმაზე მოედანზე შემოდიან მედროშეები და ნორჩი სპორტსმენები, რომლებიც უჩვენებენ თავიანთ ოსტატობას. მოდიან ქალაქის საშუალო სკოლების მოსწავლეთა კოლონები, ტრიბუნას ჩაუარეს სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა. ჭაბუკებსა და ქალიშვილებს მოაქვთ დიდი ლენინის პორტრეტი, პლაკატები, ტრანსპარანტები.

კოლონებად მოდიან ცხინვალის საწარმოთა მუშები, რომლებმაც გაიმარჯვეს საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მრეწველობის მუშაკებს ეამაყებათ, რომ მეათე ხუთწლეულის მესამე წლის ოთხი თვის გეგმა ქალაქის მრეწველობამ წარმატებით შეასრულა და სამშობლოს დიდძალი ზეგეგმიური პროდუქცია მისცა.

ტრიბუნას მწყობრი ნაბიჯით ჩაუარეს საშენ მასალათა კომბინატის, კავშირგაბმულობის, ავტოსკოლის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებმა.

ცხინვალის მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაცია იყო, მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მათი დარაზმულობის მკაფიო დადასტურება.

ქუთაისი

წინადღით გადაუღებლად წვიმდა, მაგრამ აი, თითქოს მშრომელებს ბუნებამაც უთანგრძნო — პირველ მაისს ისეთი მზიანი დღე დადგა, ჭეშმარიტად გაზაფხულს რომ შეეფერება.

დილადანვე ქალაქის ქუჩები და მოედნები მოზეიმე ადამიანთა მხიარულმა ჟრიამულმა ავსო. მშრომელები კოლონებად მიემართებოდნენ ქალაქის ცენტრალური მოედნისაკენ, სადაც ტრადიციულად იწყობა სადღესასწაულო დემონსტრაციები. დილის 10 საათი. ტრიბუნაზე ადიან ქალაქის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები, რევოლუციისა და შრომის ვეტერანები, დიდი სამამულო ომის მონაწილეები, მშრომელთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

დღესასწაულს ხსნის ორჯონიკიძის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საავტომობილო ქარხნის სახელოვანი კოლექტივი. ამაყად ჩაუარეს ტრიბუნას ქართველმა ავტომშენებლებმა. ახლახან მიძღინარე წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით მათ ოცდამესამეჯერ გაიმარჯვეს მონათესავე საწარმოთა შორის გამართულ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ავტომშენებელთა კოლონებს ცვლიან ბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმოს ფეიქრები. მათ სამშობლოს უპატაკეს თავიანთი ახალი შრომითი წარმატება.

— ვუსწორდეთ ოქტომბერს, ახალ კონსტიტუციას! ასეთი ლოზუნგები ამშენებდა სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების კოლონებს. ქალაქის მშრომელებმა წლევანდელი ოთხი თვის გეგმის გადამეტებით ოთხი მილიონი მანეთის პროდუქცია აწარმოეს. მწყობრი ნაბიჯებით ჩაუარეს ტრიბუნას საბჭოთა ხელისუფლების პირმშოს — ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკის, ელექტრომექანიკური და მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნების, ბამბეულის საქსოვი გაერთიანების კოლექტივებმა, მკერავებმა, მეავეჯეებმა, ბროლის ოსტატებმა, სტუდენტებმა, მოსწავლეებმა.

საპირველმაისო დემონსტრაციაში ათიათასობით ადამიანი მონაწილეობდა. მან ცხადყო მშრომელთა ერთსულოვანი შეკავშირება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, იმის ღრმა რწმენა, რომ ბოლომდე შესრულდება პარტიის XXV ყრილობის გადწყვეტილებები.

სურათებზე: მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაციები (ზემოდან) სოხუმში, ბათუმსა და ცხინვალში.
ი. ჭოხონელიძის, ნ. ანასტასიევისა და ვ. მორგუნოვის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

რუსთავი

წითელ ალმებს ნელა არხევს გაზაფხულის ნიავი. მაისის მზეს საამოდ გაუთბია დღესასწაულების ტრადიციული ადგილი — ლენინის მოედანი. ქალაქი საზეიმოდ ფრიალებს.

მშრომელთა სამაისო აღლუმს მკერდზე წითელლენტგადაკრული ადამიანთა კოლონა მიუძღვის. ესენი არიან პირველი კვარტალის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული მეფოლადეები და მგლინავები, კოქსქიმიკოსები და ენერგეტიკოსები, ქიმიკოსები და ამწემშენებლები, რუსთავის სახელოვანი მუშათა კლასის ღირსეული წარმომადგენლები. მათ მიჰყვებიან სახელოვანი ქართველი მეტალურგები...

კოლონებს მოაქვს ლოზუნგები, პლაკატები, პანრები. ტრანსპარანტები იუწყებიან, რომ ქალაქის მრეწველობის მშრომელთა კოლექტივებმა ვადაზე ორი დღით ადრე შეასრულეს პირველი კვარტალისა და ოთხი თვის სახელმწიფო დავალებები, ოთხი თვის გეგმის გადამეტებით გამოშვებულია მილიონნახევარი მანეთის პროდუქცია. წლიულს განსაკუთრებით ისახელეს თავი მშენებლებმა. პირველი კვარტალის მაჩვენებლებით ისინი გამარჯვებული გამოვიდნენ საკავშირო შეჯიბრებაში.

ახალი კონსტიტუციის მიღებით აღფრთოვანებულმა რუსთაველმა მშრომელებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე — პირველი მაისი.

მსოფლიოს ამგვები

მივესალმებით ვიზიტს

ბონი, (საკდესი). „გერმანელთა კომუნისტური პარტია მიესალმება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ვიზიტს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში...

ლ. ი. ბრეჟნევის სახით ჩვენი ქვეყანა უმასპინძლებს პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეს, რომელიც განუხრელად იღვწის კაცობრიობის სიცოცხლის უფლებისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის. — ნათქვამია განცხადებაში. — ამის მკაფიო გამოხატულებაა ახალი წინადადებანი, რომლებითაც მან ამ ცოტა ხნის წინ მიმართა საერთაშორისო საზოგადოებრიობას. ჩვენი პარტია მიესალმება ამ წინადადებებს, რომლებიც ღრმად ახასიათებენ კაცობრიობის მისწრაფებებს, და იმედი აქვს, რომ ფედერალური მთავრობა მხარს დაუჭერს მათ.

აშკარა მხარდაჭერა

ლონდონი, 30 აპრილი. (საკდესი). ინტერვიუში, რომელიც გაზეთმა „სანდი ტაიმსმა“ გამოაქვეყნა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კარტერი, ეხება რა ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგების საკითხებს, აცხადებს, რომ იგი დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნის წინააღმდეგია. „მე არასდროს არ დამიჭერია მხარი დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოსათვის. არც ახლა ვიცავ ამ იდეას და არ ვთპირებ გადავუხვიო ამ პოზიციას“. — ხაზი გაუსვა მან. ამ სტატუებით პრეზიდენტმა აშკარად დაუჭირა მხარი ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბეგინის გეგმას, რომელიც ამაზეა დაფუძნებული, რომ პალესტინელ არაბებს მიანიჭონ მარტოოდენ „ადგილობრივი თვითმმართველობა“, და არ ითვალისწინებს ოკუპირებული მიწებიდან ისრაელის ჯარების სრულ გაყვანას.

განცხადება, რომელიც ჯ. კარტერმა გააკეთა ამერიკის შეერთებულ შტატებში ბეგინის ჩასვლის წინ, კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ შეერთებული შტატები კვლავ მთლიანად და სავსებით უჭერს მხარს ტელ-ავივის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას და, ოღონდ მას აამოს, — არად აგდებს პალესტინის არაბი ხალხის თვითგამორკვევის უფლებას.

აგრესიის ესკალაცია

ბეირუთი. (საკდესი). ისრაელის მხედრობინი გახაგრძობს აგრესიის ესკალაციას სამხრეთ ლიბანში. როგორც პალესტინის საინფორმაციო საგენტო ვაფა იუწყება, ისრაელის სამხედრო ხომალდებმა და ვერტმფრინავებმა ცეცხლი დაუშინეს პალესტინელ ლტოლვილთა რაშიდიის ბანაკს, რომელიც ქალაქ ტირის მახლობლად მდებარეობს, აგრეთვე დასახლებულ პუნქტებს ბატულიასა და დიერ კანუნს.

ავღანეთის ამბები

ისლამაბადი. (საკდესი). აქ მიღებული ცნობების თანახმად, ავღანეთის მდგომარეობა, სადაც სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, კალაპოტში დგება. გადატრიალების შემდეგ პირველად ქაბულში გაიხსნა მაღაზიები.

ქაბულის რადიო იტყობინება, რომ „ქვეყნის მდგომარეობას მთლიანად კონტროლს უწევს რევოლუციური საბჭო“. ცნობაში აღნიშნულია, რომ „ყველა სახეობის შეიარაღებულმა ძალებმა და ყველა ჯარის ნაწილმა მთელ ქვეყანაში ლოიალობა გამოხატა რევოლუციური საბჭოსადმი“.

თეირანი. (საკდესი). ირანმა მიიღო გადაწყვეტილება დახუროს თავისი საზღვარი ავღანეთთან. მეთვალყურენი ამ ღონისძიების უკავშირებენ გადატრიალებას. რომელიც ამ ორი დღის წინათ მოხდა ავღანეთში.

უპირებენ დაპატიმრებას

ბუენოს-აირესი. (საკდესი). როგორც არგენტინის დედაქალაქში გამოირკვა, ფედერალურმა მოსამართლემ რაფაელ სარმიენტომ გადაწყვიტა წინასწარ პატიმრობაში აიყვანოს არგენტინის ყოფილი პრეზიდენტი მარია ესტელა მარტინეს დე პერონი, და ყადაღა დაადოს მის ქონებას, სანამ გამოიძიებდნენ პერონის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებს სახელმწიფო და კერძო ფონდების უკანონო ოპერაციების გამო. იგი 1976 წლის მარტში დაამხეს სამხედრო გადატრიალების შედეგად და მას შემდეგ თითქმის სულ მუდამ შინაპატიმრობაშია. ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ აღძრულია ექვსი სხვადასხვა სასჯელის სამართლის საქმე.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

ისეთი წესრიგი, ჩვენ რომ გვეკადრება!

პრეზიდიუმთან „ბუნდთან ერთად“

როგორც „კომუნისტის“ მკითხველებს მოეხსენებათ, პროფკავშირების სპორტულ საზოგადოებათა ფეხბურთის ფედერაციამ დაიწყო ახალი პრიზი — „ბუნდთან ერთად“ (ბუნდი-სტადიონი-მაყურებელი), რომელიც უმაღლესი ლიგის კოლექტივებს შორის გამარჯვებულს საფეხბურთო სეზონის ბოლოს გადაეცემა.

ამასთან დაკავშირებით მიმდინარე წლის 28 აპრილს „კომუნისტში“ დაიბეჭდა წერილი სათაურით — „ისეთი წესრიგი ჩვენ რომ გვეკადრება“ — მისი ავტორები — ცნობილი საზოგადო მოღვაწენი, სახელოვანი სპორტსმენები, ჩვენი რესპუბლიკის პატრიოტები, სპორტის თავდადებული გულშემატკივრები წერდნენ თბილისის სტადიონზე სანიმუშო წესრიგის თაობაზე. გამოთქმული იყო აზრი, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს საზოგადოებრიობის აზრს და შექმნის ყიურს, რომელიც ხელს შეუწყობს სპორტულიო პრიზის მოპოვებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ იმსჯელა „კომუნისტში“ გამოქვეყნებული ამ წერილის თაობაზე და მოიწონა მასში გამოთქმული წინადადებანი.

შეიქმნა მუდმივმოქმედი ყიური შემდეგი შემადგენლობით:

ნ. გაფრინდაშვილი — მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში; ლ. თედიაშვილი — მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭიდაობაში; ვ. სანეევი — სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი მძლეოსნობაში; ო. ღუდუშაური — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ლენინური პრემიის ლაურეატი; ვ. ოკუჯავა—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; მ. ბერძენიშვილი — მოქანდაკე, სსრ კავშირის სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატი; ნ. ჯანბერიძე — პროფესორი, საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე; გ. ყანჩელი — კომპოზიტორი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; ზ. ანჯაფარიძე — სსრ კავშირის სახალხო არტისტი; რ. ჩხეიძე — რესპუბლიკის სახალხო არტისტი; ჯ. ამირეჯიბი — მწერალი; ნ. ყუანია — თბილისის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე; რ. ჩიმიშკიანი — ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ძალოსნობაში; გ. ჯეჯელავა — სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე; კ. ყურაშვილი — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ფეხბურთში; ა. გუკასიანი — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი; ვ. ბოროდაკა — სოციალისტური შრომის გმირი; ც. სვანიძე — პროფესორი, თბილისის სპორტკომიტეტის ფეხბურთის მოყვარულთა კლუბის თავმჯდომარე.

მუდმივმოქმედი ყიურის ძირითად მოვალეობად ჩაითვალოს, — ნათქვამია კოლეგიის დადგენილებაში, ყოველი ხაფეხბურთო მატჩის შემდეგ პირუთვნელად, მთელი სიმკაცრით შეაფასოს მაყურებელთა, ფეხბურთელთა და სტადიონის მუშაკთა მოქმედება. საჭიროების შემთხვევაში — მსაჯის მოქმედებაც. მუდმივმოქმედი ყიურის აზრი პერიოდულად გაეცნოს მოსახლეობის ფართო ფენებს პრესის, ტელევიზიისა და რადიოს საშუალებით.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონის ხელმძღვანელობას დაევალა უზრუნველყოს მუდმივმოქმედი ყიურის ეფექტიანი მუშაობისათვის ყველა პირობის შექმნა.

თბილისელები ლიდერობენ

თბილისის „დინამოს“ კოლექტივმა, რომელმაც თავის სტადიონზე 28 აპრილს „ჩერნომორეცთან“ გამართულ მატჩში ჭულათა მაქსიმუმი (120) დააგროვა, დაიბრუნა პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა, ფეხბურთის ფედერაციის პრიზისათვის („ბუნდთან ერთად“) ბრძოლაში ლიდერის სახელი. თბილისელებს საკუთარ მინდორზე გამართული 3 მატჩის შედეგებით 305 ქულა აქვთ.

დღეს მეხუთე ტურია

დღეს უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა ბუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეხუთე ტურის მატჩები გაიმართება: ასეთია შეხვედრათა განრიგი: „პახტაკორი“-„არარატი“; „ნეფტჩი“-„კიირატი“; „ჩერნომორეცი“ - „შახტიორი“; „ზარია“-„დინამო“ (კიევი); „ლოკომოტივი“-„ტორპედო“; „ზენიტი“-ცსკა.

თბილისის „დინამო“ სტუმრად — დნეპროპეტროვსკში ითამაშებს „დვალობრივ „დნეპრთან“. საკავშირო ჩემპიონატების განმავლობაში თბილისელები და დნეპროპეტროვსკელები ერთმანეთს შეხვდნენ 12-ჯერ, აქედან დინამოელებმა 7 მატჩი მოიგეს, 4 ფრედ დაამთავრეს და მხოლოდ 1 შეხვედრა წააგეს, ბურთები — 20:4 თბილისელთა სასარგებლოდ.

ბუნდის ჯარი

არც ისე დიდი ხანია გასული ამ ამბის შემდეგ.

ალაზნის ველს, ახლა „შორიქანს“ რომ ეძახიან, უწინ თურმე „საჭრატალო“ რქმევია. სულხან-საბა ორბელიანი ასეთნაირად განმარტავს საკრტალოს: „ჭრტიალი არს მზემან ლდენი. გინა ბარნი ადგილნი განხრუკოს და თვალნი ვერ შემძლებელი იყოს შემდეგად, გინა ირლეკო გამდნარ ცეცხლისაგან, ელვარებდეს საზარლად“.

უწინ, ალაზნის გადატრუსულ, გახრიოკებულ ველ-მინდვრებში მცენარე ფესვს ვერ იკიდებდა, სულიერი ვერ ბოგინობდა, სიცხისაგან მლაშე და მოუსავლიან მიწაზე ნეკის სიმსხო ბალახს რომ წამოეყო თავი, მზის პაპანება დააცხრებოდა, სულერთიანად მოთუთქავდა და მოტრუსავდა ხოლმე.

ი. გოგებაშვილს გული შესტკიოდა ალაზნის ამ სრიოკ ველებზე. „კი წერს კიდეც თავის „დედა-ენაში“. „ქაზიყელები რომ ეცდებოდნენ და ალაზნის წყალს სარწყავად გადაიყვანდნენ, მაშინ ყოველგვარი მოსავლით გამდიდრდებოდნენ“.

საბჭოთა ხელისუფლებამ აუსრულა ამ კუთხეს ეს ოცნება. ალაზანს პირი უბრუნეს და ცივგომბორის კალთებზე შემოატარეს. „საჭრტიალო“ გაცოცხლდა, ბაღ-ვენახები აბიბინდა...

მაგრამ ბევრს ახლაც ახსოვს უწინდელი „საჭრტიალო“. მკათათვის შუადღისას ყველაფერი ისე ლუდდა, თითქოს დედამიწა დნებოდა... იწოდა და იბუგებოდა ყოველივე, აუტანელი პაპანაქებისაგან დამფრთხალი ფრინველი და ცხოველი დაფეთებული გარბოდა ალაზნის ჭალებისაკენ სარრდილობლად.

...და აი, მომხდარა საოცრება. სწორედ ამ ადგილებში მიწიდან აეკრჩილი მუხა ამოწრდილა... დიდხანს იდგა იგი ნირშეუცვლელად და მზის სიმხურვალეს არ ეპუებოდა, თავისი ხასხასა ფოთლებით სიგრილეს და ჩრდილს აყენებდა ალაზნის ველზე-ადამიანებს აუტანელ სიცხეში შვებას აძლევდა...

შემოდგებოდა თუ არა ზენიტზე დიდი მბათობი, შეშინებული ფრინველები ევიელ-ხვიელით შეცვივდებოდნენ ხოლმე მის ტოტებში, თვით ველის ძღიერი არწივიც კი სიცხისაგან დაოსებული, გულარხეინად იჯდა მუხის ტოტებზე შეფენილ თავის მსხვერპლთა შორის...

იქვე, მუხის ძირში, ქართული კრამიტის ღარიდან საამოდ მორაკრაკებდა ცივი, ანკარა წყარო, რომელსაც ხალხმა „უკვდავების წყარო“ შეარქვა.

მუხის სიჯიუტემ მზე განარისხა.— სიცოცხლემ არ უნდა გაიჭაჭანის ნემს საბრძანებელშიო... და ცეცხლის მფრქვეველი სხივები სტყორცნა ბერმუხას.

„ფიქრი ნუ გაქვს, შვილო... წყალს არ მოგაკლებ“ — ეჩურჩულებოდა დედამიწა. მუხის შეტრუსული ფოთლებიც ხარბად იწოვდნენ წყალს.

გადიოდა დღეები, წლები და ბერმუხა უფრო ღრმად იდგამდა ფესვებს:

საშინლად განრისხდა მზე, ქარიშხალს უხმო: — ძირფესვიანად ამოგდე და დედამიწას მოსწყვიტე ეგ თავხედი მუხაო!..

...და ისეთი ქარიშხალი ამოვარდა, ვერ მოერია, ვერ მოსწყვიტა დედამიწას...

მალე ალაზნის არხი წამოეშველა. ამ ათიოდე წლის წინათ ბერმუხა და „უკვდავების წყარო“ ადამიანთა თავშესაფარი იყო.

მზე შემოდგებოდა თუ არა ზენიტზე, ბერმუხისაკენ გარბოდნენ, სახეს ცივი წყლით იგრილებდნენ, ჩრდილში ისვენებდნენ. მერე ისევ მუშაობდნენ, პურს მკიდნენ...

მაშინაც ალოობა იყო, ბინდი იწვა „საჭრტიალოზე“, შრიალებდნენ გაფაცებული ყანები... ღამის წყვდიადში ცეცხლის ალმა გაანათა ალაზნის ველი, სოფელი ერთი ღრიანცელი და ყიჟინა ატყდა. „ყანებს ცეცხლი ედება, ნაამაგარი არ დაგვეწვასო“ და დიდი და პატარა ქვემოთ — მინდვრისკენ დაეშვა. მიუახლოვდნენ ხანძარს და რას ხედავენ!

მუხა იწვოდა, ბერმუხა იხრუკებოდა.

ერთიანად მოსდებოდა ცეცხლი, ტოტებს ტკაცა-ტკაცუცი გაჰქონდა, იღვლეფებოდა და ინაცრებოდა... ვეღარას შველოდა მშობელი მიწა.

უკვე განწირული იყო მუხა.

ირგვლივ თხრილი შემოავლეს, რათა ცეცხლი ყანებს არ წაჰკიდებოდა. ყველას ისე ჩამოსტიროდა სახე, გეგონებოდათ, სიცოცხლისათვის მებრძოლ რაინდს უთხრიან საფლავსო.

იმ ღამეს ხალხმა დამწვარ მუხასთან გაათენა... ყველასათვის უკვე ნათელი იყო, რაც შემთხვეოდა. მეორე დღეს იპოვეს ირგვლივ მიმოფანტული ფესვნი ბოლოები. შამფურზე აგებული დანასხურებული მწვადები, შვლის თავფეხი. მეორე დღეს ნამუხარის ირგვლივ დამწვარ-დახოცილი ფრინველებიც ნახეს.

— ალბათ ცეცხლმოკიდებულ მუხას ეშველებოდნენო, — თქვა ვიღაცამ მწარე სინანულით და ირონიით, რა თქმა უნდა, უგულო მოქეიფეთა მისამართით.

ერთი კვირის შემდეგ „უკვდავების წყაროც“ დაშრა. მიწაში ჩაპირქვავდა და სამუდამოდ გაქრა...

ბ. ხეჩუაშვილი.

„კომუნისტის“ მკითხველებს!
ჩვენი ბაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 4 მაისს.

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

სპორტი

ბოლო ამბები

ჰოკეი

სამი ლიდერი

პრაღაში გრძელდება ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატი. მესამე ტურის ბოლო ორი შეხვედრის შედეგები ასეთია: სსრ კავშირი-ფინეთი — 6:3, კანადა-აშშ — 7:2.

სამი ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილში გუნდები ასე განაწილდნენ:

	თ.	მ.	ფ.	წ.	შ.	ქ.
შვეიცია	3	3	0	0	21-4	6
ჩეხოსლოვაკია	3	3	0	0	22-6	6
სსრ კავშირი	3	3	0	0	22-12	6
კანადა	3	2	0	1	17-10	4
ფინეთი	3	1	0	2	13-16	2
გფრ	3	0	0	3	8-21	0
აშშ	3	0	0	3	8-21	0
გდრ	3	0	0	3	3-24	0

მოკლედ

ქალოსნობა. ბულგარეთის ჩემპიონატზე, რომელიც ქალაქ პლევენში გაიმართა, იანკო რუსევმა (67,5 კგ-მდე წონითი კატეგორია) ორჭიდში დააგროვა 317,5 კგ და 2,5 კილოგრამით გაუუმჯობესა მსოფლიო რეკორდი.

მძლეოსნობა. ლისაბონში მშრომელთა საერთაშორისო დღის — 1 მაისის აღსანიშნავად გამართულ შეჯიბრებაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა ფაინა მელნიკმა (სსრ კავშირი) ბადროს მტყორცნელთა შორის გაიმარჯვა. მისი შედეგია 64 მეტრი და 70 სანტიმეტრი.

კალათბურთი. რიგის კალათბურთელ ქალთა გუნდმა ტტტ-ს პარიზში ორი შეხვედრა გამართა საფრანგეთის ნაკრებთან. პირველი მატჩი მოიგეს მასპინძლებმა ანგარიშით 69:66, მეორე — სტუმრებმა — 72:69. რიგელებმა ავრეთვე ითამაშეს საკლუბო გუნდ „კლერმონ-ფერანთან“ და გიმარჯვეს — 78:69.

ჰავანა. საბჭოთა დიდოსტატმა ტიგრან პეტროსიანმა ნიუიორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში, ერთდროული თამაშის სეანსი გამართა. პეტროსიანმა 19 შეხვედრა მოიგო, ხოლო ერთი ფრედ დაამთავრა მადაგასკარის წარმომადგენელ ჰენრი რადიხერთან.

ველლინგტონი. უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი გამართულ მრავალდღიან ველლინგტონში გაიმარჯვა ტაშკენტელმა სპორტსმენმა მ. ასმადულინმა. ტაშკენტის ოაზისის გზებზე, მთაგორიან უღელტეხილებზე და ფერდობის ხეობაში მან თერთმეტ ეტაპად დაყოფილი 1.200 კილომეტრი დაფარა 25 საათსა, 11 წუთსა და 56 წამში.

ტელეფონია

2 მაისი

პირველი პროგრამით

10.00 — „ბავშვები“ (მოსკოვიდან), 09.20 — კინონარკვევი, 09.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 09.40 — „ვარსკვლავი“ კინოალმანახი ბავშვებისათვის (მოსკოვიდან), 10.30 — „მხიარული ნოტები“ ნორჩ ვოკალისტთა კონცერტი (მოსკოვიდან), 11.35 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „მოიფიქრე, გიოცავ!“ 12.55 — ბავშვებისათვის „მხიარული შეჯიბრება“ (ფერადი), 13.30 — „მულტანორამა“, 14.50 — „მღერის ეთნოგრაფიული გუნდი“ (ფერადი), 15.15 — ფილმის დაბადება (ფერადი), 16.15 — კონცერტი (ფერადი), 16.50 „მსოფლიო პირველობა ჰოკეიში. გფრ-ისა და კანადის ნაკრები გუნდები, მესამე პერიოდი. (პრაღიდან), 17.30 — კომედიური ფილმების სატელევიზიო ფესტივალი — ფრანგული მხატვრული ფილმი „ბამა, დედა, შინამოსამსახურე და მე“, 18.50 — „მუსიკალური ფოსტა“ (ფერადი), 19.50 — ქართული სატელევიზიო ფერადი მხატვრული ფილმი „ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა“, პრემიერა, 20.20 „საზღვარგარეთის ისტრადის რეტმები და მელოდიები“ (ფერადი), 20.55 — 13 სკამი“ — მინიატიურების სატელევიზიო თეატრი (ფერადი), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „თეატრალური საღამო“ (ფერადი).

მეორე პროგრამით

18.00 — გასართობი კინოპროგრამა ბავშვებისათვის, 18.30 — კონცერტი, 19.00 — დოკუმენტური ფილმი „ცივმიწიერი, ბაიკალის ტბისაკენ“, „ბაიკალიდან ტუბუუულამდე“ (ფერადი), 19.05 — მხატვრული ფილმი „ოპერაცია „ი“ ანუ შურიკის ახალი ფათერაკები“ (ფერადი), 20.30 — „მღერის ტატიანა მალიშევა“ ფერადი (განმეორებით), 21.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნიკოლოზ ტიხონოვი“ (ფერადი).

თუალური

2 მაისი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ილია ჭავჭავაძე; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ბაბა ალიევი „ეროვნული ბიბლიოთეკა“ (ფოსტა-ტელეგრაფი, 2 მაისი, 10 საათ. 30 წთ.) — „ბალეტ-ბალეტ“ (ბოლოსა, ბ. ბ. ბ.